საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №697

თბილისი „03“ 08 2017 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2017 წლის 19 ივლისის N850227 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

<u>დანართი</u>

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები

1. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მომზადება დასრულდეს 2017 წლის აგვისტოს ბოლომდე.

2. გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის ვადა:
   2.1 საბუთების წარდგენა - 2017 წლის 2-15 ოქტომბერი;
   მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოებისთვის/სერიებისთვის - 1-7 დეკემბერი;
   2.2 სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენა - 23-31 ოქტომბერი, ხოლო მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოებისთვის/სერიებისთვის -16-20 დეკემბერი.

3. გრიფირების განაცხადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების და ხარვეზის აღმოფხვრის ვადა:
   3.1 გრიფირების განაცხადის შემოწმება - არაუგვიანეს 7 სამუშაო დღე;
   3.2 ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

4. რეცენზირების ვადა:
   4.1 ტექნიკური რეცენზირება (მათ შორის რეცენზიების გაცნობა/მითითებების ასახვა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება) დასრულდეს არაუგვიანეს 2017 წლის 19 ნოემბრისა, ხოლო მუსიკის საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოებისთვის/სერიებისთვის - არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა;
   4.2 შინაარსობრივი რეცენზირება/საჯარო განხილვა (მათ შორის რეცენზიების გაცნობა/რეკომენდაციების ასახვა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება) დასრულდეს არაუგვიანეს 2018 წლის 25 მარტისა.

5. მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა:
   5.1 მოსაზრებების წარდგენის ვადა - რეცენზირების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 4 კალენდარული დღე;
   5.2 მოსაზრებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა - მოსაზრებების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

6. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა - არაუგვიანეს 2018 წლის 10 აპრილი.